

გამული, ენა, სარწმუნოება ახლა უფრო გაღასარჩენია, ვიღრე ოღასეა!

29 აპრილს ერთად პარლამენტის წინ!

საქართველო

რესპუბლიკა

გამოქვეყნდა 1918 წლის
25 ივლისიდან

მთავრებით, 24 აპრილი. 2024 წელი №50 (9730) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი



სიურპრიზები საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს!

ფონდი „ქართუ“ ქართველ ფეხბურთელთა წახალისებას განაგრძობს

„საქართველოს ეროვნულმა საფეხბურთო ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე გასვლით ტიტულურულ ქართველს უდიდესი სიხარული აჩუქა. ამ წარმატების, თაობათა ოცნების ახდენის უკან თითოეული ფეხბურთელის, სამწვრთნელო შტაბის წარმომადგენლის, საფეხბურთო სფეროში ჩართული ადამიანების უდიდესი შრომა დგას. სწორედ ამიტომ, საფეხბურთო ნაკრების მოტივაციის დამატებით მხარდასაჭერად, ევროპის ჩემპიონატის ქვეყნუფიდან გასვლის-



ვის ფონდი „ქართუ“ საფეხბურთო ნაკრებს ჯილდოს სახით 30 მილიონ ლარს გადასცემს. ამასთანავე, ქვეყნუფიდან გასვლის შემდეგ, ყოველი შემდეგი მატჩის მოგებისთვის ფონდი „ქართუ“ ეროვნულ ნაკრებს დამატებით 30 მილიონ ლარით დააჯილდოებს. გამარჯვებას ვუსურვებთ ჩვენს ნაკრებს. გვჯერა, რომ ეს მხოლოდ წარმატების ამ საოცარი გზის დასაწყისია და წინ კიდევ უამრავი გამარჯვება გველის“, - აღნიშნულია განცხადებაში.

**ნახიჩევანი
100 წლისაა**

**NAXÇIVAN
MUXTAR
RESPUBLİKASI**

100

**მეზობარი,
მეზობელი,
სტრატეგიული
პარტნიორი**

„ჩვენ ობოლი ვართ!“

**სასოწარკვეთილი
ენასახელები**

ნახევარი
ნახევარი
ნახევარი

ომარ მარგველაშვილი

**აღაშიანებო,
იყავით
ფსიქოლოგად!**

**ბიორგი
კიძარია -
აფხაზი
ხალხის
სახელოვანი
უფილი**

**როღასას ქურაში
„საპროტესტოდ“
ხელისუფლება
გაღის!..**

4

**ჩიტირაქია პოლიტოლოგ-მეხსენებელი იხრებიან
ვითარსა ლარწამნი ქართაგან კლიერთა!..**

ჰეიდარ ალიევი:

ნახიჩევანი ჩვენი დედასამოთხლოა. მიხლოდა, საზღვარგარეთ თქვენთან ერთად ამ დავრჩენილიყავი, მაგრამ ცხოვრება ამის საშუალება არ მომცა. ნავადი, მაგრამ ჩვენი გული ამ დარჩა. ნახიჩევანს დიდი და მდიდარი ისტორია აქვს. ამ ისტორიაში, როგორც მსოფლიო, ასევე კაცობრიობის კულტურაში დიდი წვლილი შეიტანა. ნახიჩევანი დიდი მოაზროვნეების, მეცნიერებისა და ხელოვნების მხარე იყო.

ქვეყნით-კობის 9 კმ სიგრძის უწყვეტი გვირაბი გაიჭრა!



– ჩვენ ვართ ისტორიული მოგონების მომხრე. გაიჭრა ქვეყნით-კობის უნიკალური გვირაბი. დღევანდელი დღე საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ნაბიჯად ისტორიულია, ეს თავიდან დაიწყო იმჟამად – დღეს აღვნიშნავთ საქართველოში ყველაზე გრძელი, 9 კმ სიგრძის უწყვეტი საავტომობილო გვირაბის გაჭრას, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ქვეყნით-კობის საავტომობილო გვირაბის გაჭრის დასრულებასთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. მთავრობის მეთაურის თქმით, ახალი გზა მნიშვნელოვნად, 45 წუთით შეამცირებს გადაადგილების დროს.

„აღსანიშნავია, რომ გვირაბი სპეციალურად ამ პროექტისთვის შეაქმნა ინოვაციური საგზაო დანადგარით TBM-ით გაიჭრა. ასე რომ, დღეს გვირაბის გაჭრასთან ერთად ახალი ტექნოლოგიის წარმატებასაც აღვნიშნავთ. ახალი, 23 კმ-იანი გზა,

ნის ცენტრალურ ქალაქებთან და რეგიონებთან წელიწადის ნებისმიერ დროს, რაც მათი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ახალ შესაძლებლობებს აჩვენს. ასეთი პროექტებით ვქმნით შესაძლებლობას, მთის მოსახლეობამ შეინარჩუნოს საკუთარი საცხოვრებელი ადგილები, გაძლიერდნენ ადგილობრივი თემები და, ამგვარად, დაეხმოს ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა ამ უნიკალური სოფლების სახით. აღსანიშნავია, რომ ახალი გზა არა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობისთვის მოიტანს ეკონომიკურ სარგებელს, არამედ სტიმულს მისცემს რეგიონის ტურისტული პოტენციალის მაქსიმალურ ათვისებას. სწორედ ამიტომ ეს პროექტი ჩვენი ხელისუფლების მიზნის – ქვეყნის ეკონომიკის ინკლუზიური განვითარების დასტურია!



კურთან ერთად მნიშვნელოვანი სოციალური ეფექტები ექნება. პროექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ათი სოფლისთვის, რომელთა მოსახლეობა ყოველწლიურად, თვეების განმავლობაში, საგზაო კავშირის გარეშე რჩებოდა და არ ჰქონდა წვდომა სამედიცინო, საგანმანათლებლო, თუ საყოფაცხოვრებო მომსახურებებზე. ახალი გზა უზრუნველყოფს ამ სოფლების კავშირს ქვეყნის ცენტრალურ ნაწილებთან და რეგიონებთან.

პოლიტიკურად გაკოტრებული აღამიანები საუბრობენ ქართველი ხალხის სახელით

ყველა ხელახტ, რომ ძალიან ბევრი საუბრობს ქართველი ხალხის სახელით და ესენი არსებითად არიან ის აღამიანები, რომლებიც სწორედ რომ პოლიტიკურად არიან გაკოტრებული და რომლებსაც არ აქვთ სახალხო მხარდაჭერა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

„მაგალითად, იცით, რომ რადიკალური ოპოზიცია, რომლის რეიტინგი არის რადიკალურად შემცირებული, დღეს ქართველი ხალხის სახელით საუბრობს, ასევე „ენჯელები“ საუბრობენ ქართველი ხალხის სახელით მაშინ, როდესაც ამ ორგანიზაციებს აქვთ რეკორდულად მცირე ნდობა საზოგადოებაში.“

...ხალისუფლებას ხალხის სახელით საუბრის მანდატი 2020 წელს მიანიჭა

„ეს მანდატი ჩვენ მოგვანიჭა საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად 2020 წელს, როცა მივიღეთ 48 პროცენტი საპარლამენტო არჩევნებში. უფრო მეტიც, მას შემდეგ ჩვენი რეიტინგი არის გაზარდილი და დღეს აჭარბებს 60 პროცენტს. მართალი გვქონდა 61 პროცენტზე მეტი რეიტინგი და ამ კანონის ინიცირების შემდეგ, ეს რეიტინგი, დარწმუნებული ვარ, გაიზარდებოდა. უახლოეს მომავალში გაიზარდება ასევე ახალი რეიტინგი. როდესაც მმართველი გუნდს, ხელისუფლებას აქვს 60 პროცენტზე მეტი რეიტინგი და 10 და 15-პროცენტიანი სუბიექტები საუბრობენ ქართველი ხალხის სახელით, ამ დროს მნიშვნელოვანია, გათვითადისწინაო ჩვენი მხარდაჭერების მოსაზრება, რომლებიც მოვგინდებდნენ, გვეჩვენებინა, სად დგას სინამდვილეში ხალხი.“

ხალხი დგას ხელისუფლების მხარეს და ქართული სა-

ზოგადობა მხარს უჭერს იმ კანონს, რომელიც არის ინიცირებული. ქართველი ხალხი მხარს უჭერს გამჭვირვალობას, ანუ ინფორმაციის მიღებას იმასთან დაკავშირებით, რომელი ორგანიზაცია საიდან და რისთვის ფინანსდება. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, 29 აპრილს გასამართი ორგანიზაცია. რა თქმა უნდა, მოვეუწოდებთ ყველას, მიიღონ მონაწილეობა ამ შეკრებაში...“

„უხუცესი საჯარო მოხელე კვლავ მწყობრშია!“



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ უხუცეს საჯარო მოხელეს, ნიკოლოზ პაპუნაძეს, რომელიც 76 წელია, სასამართლო ექსპერტის ეროვნულ ბიუროში მუშაობს, 100 წლის იუბილე მიულოცა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მთავრობის მეთაური რეგულარულად კავშირს ამყარებს მისი კანონმდებლობის უსურველ და საჯარო სამსახურში მრავალწლიანი მოღვაწეობისთვის მადლობა გადაუხადა. მედიაციის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რევაზ კაპანაძე, შვიდ ათეულ წელზე მეტია, პროფესიას სასამართლო ექსპერტის ეროვნული ბიუროს სამედიცინო ექსპერტის დეპარტამენტის პოსტოლოგიური ექსპერტის სამმართველოს ექსპერტის პოზიციიდან ემსახურება.


„ნებგაზეთი“ და „გათუქა“ უხელოებს აღიარებენ!

„ნებგაზეთი“ და „გათუქა“ უხელოებს აღიარებენ, რომ პარლამენტის თავმჯდომარის თანხმობის გარეშე, პალატი პაპუნაძისთან დაკავშირებით გაგრძელდება ინფორმაციის „შეცდომა დაუპყრს“, – ამის შესახებ საუბრისას აღნიშნული გამოცემების განცხადებაში.

„ნეტგაზეთი/მათემელები“ ვებგვერდებზე შალვა პაპუნაძის მიერ შესყიდულ ტყეა და მინის ნაკვეთზე ჩვენი მიერ გავრცელებულ ინფორმაციას და გამოვლენას ნუხილს დაშვებული შეცდომის გამო. პარლამენტის თავმჯდომარის დეკლარაციის თანახმად, ზურაბ პაპუნაძის საკუთრებად დარეგისტრირებული მინის ფაქტობრივი თანამესაკუთრე იყო შალვა პაპუნაძის, რომელმაც მინის 50% საკუთრებაში 2020 წელს დაირეგისტრირა (გადახდილი საფასური – 1 ლარი).

გარდა ამისა, პაპუნაძის ანალოგიურად დაირეგისტრირა 2020 წელს სიღნაღში, სოფელ ვაქირში 10 ჰექტარი მინის ნაკვეთის 50%. ზურაბ პაპუნაძის სახელზე რეგისტრირებული ამ მინის ფაქტობრივი თანამესაკუთრე პარლამენტის თავმჯდომარე იყო. „ჩვენი რედაქციისთვის ყოველთვის მთავარი იყო, არის და იქნება შურნალისტური ეთიკის სტანდარტი, სწორედ ამიტომ კითხულობთ ახლა ამ ტექსტს. არავინ განიცდის ახალ ჩვენზე მეტად ჩვენ მიერ დაშვებულ ამ შეცდომას, მაგრამ არსებული ვითარებიდან და წინიდან გამომდინარე, რომელშიც ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში მუდმივად ვიმყოფებით, დაგუშვით შეცდომა, რისთვისაც კიდევ ერთხელ ვუხდით ბოდიშს ჩვენს მკითხველს“, – ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუნაძის სოციალურ ქსელში გუშინ განცხადება გამოაქვეყნა, სადაც აცხადებს: „ნეტგაზეთისა“ და „მათემელების“ მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რა თქმა უნდა, აბსოლუტურად ტყუილია, ამ დეზინფორმაციის შესახებ დაველაპარაკებო იმ საელჩოებს, რომლებიც ამ მედიის დაფინანსების უკან დგანან.“



ჯინ შარპი

საპერლოვანი რევოლუციის ზოგადი ტექნოლოგია

ის შეხელება, რომ დათრგუნულ ალამიანებს უშუალოდ მოქმედება არ შეუძლიათ, მხოლოდ დროის ბარკვეული პერიოდისთვისაა სწორი. როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, ჩაბრუნებულ ხალხს ბრძოლა ხშირად არ სურს, ბარკვეული დროით კი არს შეუძლია, რაღაცნაირ არ სჯერა, რომ აქლუპს წინ აღუდგას დაუნ-

გადატრიალება, არჩევნები, მსხველპი უსწრაფად?

შეიძლება ერთი შეხედვით ჩანდეს, რომ სახელმწიფო გადატრიალება საკულუვლო რეჟიმის დასაბრუნებლად შედარებით იოლი და სწრაფი ხერხია. თუმცა ამ ხერხს სერიოზული შედეგებით მხარეების აქვს. უპირველეს ყოვლისა ის არცვლის ძალაუფლების არსამართლიან გადაწვევას მოსახლეობასა და ელიტას, მართლაც ხელისუფლებასა და სახელმწიფოს შორის. მართლაც უპირველესად ადამიანების ერთი ჯგუფის მოცილების შედეგად, დიდია ალბათობა იმისა, რომ ისინი სხვა, ანალოგიურმა ჯგუფმა ჩააგდოს. ამგვარი ჯგუფი, დამოკრძალებული რეჟიმების მიმართ, შესაძლოა მთელ ლოიალური და გახსნილი აღმოჩნდეს. თუმცა, იგივე წარმატებით შეიძლება სინაღამდღამო რამდენ მოხდეს.

მათ, ვინც დიქტატურისაგან იტანჯებიან, ან ჩრდილში ყოფნა მოახერხეს, რათა სასჯელი თავიდან აერიდებინათ, ჩვეულებრივად არ სურათ, რომ გათავისუფლებას სხვისი დახმარების გარეშე მოახერხებენ. ისინი თვლიან, რომ ხალხს ვიღაც სხვა უშველის, ანუ ფსონს გარე ძალებზე დევენ. მათი აზრით, მხოლოდ საერთაშორისო დახმარება შეიძლება იყოს იმდენად ძლიერი, რომ დიქტატორის დამხობა შეძლოს.



შეიძლება იყოს „საზოგადოებრივი აზრი“, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ცალკეული ქვეყანა ან საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციები. ამგვარი სენარი მოსახერხებლად შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ გარედან მოსული მამულის იმედი სერიოზულ პრობლემებს ქმნის. მხოლოდინი შეიძლება ფუჭი აღმოჩნდეს. ჩვეულებისამებრ მშველელი არააინ ჩანს, ხოლო თუ სხვა სახელმწიფო განახორციელებს ჩარევას, მისი ნდობა ნამდვილად არ ღირს. უნდა აღვნიშნოთ რამდენიმე არასაინაოვრო რეალობა, რომელიც სხვა სახელმწიფოს იმედზე ყოფნას უკავშირდება: სხვა სახელმწიფო ხშირად ტოლერანტულია არსებული დიქტატურის მიმართ და ეხმარება კიდევაც მას, რათა საკუთარი ეკონომიკური ან პოლიტიკური ინტერესები უზრუნველყოს; სხვა სახელმწიფოს შეუძლია უდალატოს დაჩაგრულ ხალხს და რაიმე სხვა მიზნისათვის არ შეასრულოს ვალდებულება (ანუ არ დაეხმაროს მათ გათავისუფლებაში); ზოგიერთი სახელმწიფო თანახმაა ებრძო-

„ხელისუფლების იმედგამოწმებას აზრი არ აქვს... თქვენ უნდა დაეყრდნოდით საკუთარ გაბეჭდვას... დაეხმარეთ ერთმანეთს... გააპლიტრით იმდენი, ვინც სუსტია... და თქვენ გაიმარჯვებთ... როდესაც პრობლემა თქვენი ძალისხმევით მომწიფდება, მისი გადაწყვეტა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი.“

ვება, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან გარეცხვა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხრიდან დაგმობა და სხვა, წონად დახმარებას ვასწავს. და მაინც, თუ არ არსებობს მძლავრი შიდა წინააღმდეგობის მოძრაობა, ამგვარი მოქმედებების განხორციელება ნაკლებად იქნება შესაძლებელი.

პირისპირ მხარე სინამდვილესთან
დასკვნის გამოტანა იოლი არ არის. მიწვევით მხარეებთან დიქტატურის დახმარებისთვის, პირველ რიგში, ოთხი ამოცანა უნდა გადაიჭრას: დათრგუნული მოსახლეობის გაშლიეროს გაგზავნა, თავდაპირველად და წინააღმდეგობის გაწევის უნარი; გააპლიტრის ჩაგრული ხალხის დამოუკიდებელი სოციალური ჯგუფები და ინსტიტუტები; შეიმუშაოს ძლიერი შიდა წინააღმდეგობის მოძრაობა; მოზადღეს გონივრული სტრატეგიული გეგმა და მოხდეს მისი გულმოდგინე განხორციელება.

თავისუფლებისათვის ბრძოლა ის პერიოლია, როდესაც საკუთარ თავს და წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეთა შიდა სიძლიერეს უნდა დაეყრდნოს. ირლანდიის 1879-1880 წლების გათავისუფლების ბრძოლა ჩარბლ სტიუარტ პარნელი ამბობდა: „ხელისუფლების იმედზე ყოფნას აზრი არ აქვს... თქვენ უნდა დაეყრდნოდით საკუთარ გაბეჭდვას... დაეხმარეთ ერთმანეთს ერთიანობით... გააპლიტრით ისინი, ვინც სუსტია... და თქვენ გაიმარჯვებთ... როდესაც პრობლემა თქვენი ძალისხმევით მომწიფდება, მისი გადაწყვეტა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი.“

დამოუკიდებელ ძალასთან, გონიერ სტრატეგიასთან, დისციპლინისა და გაბედულ მოქმედებასთან, ასევე რეალური სიძლიერესთან დაპირისპირებით დიქტატურა საბოლოოდ დაეშობა. თუმცა ამისათვის, სულ მცირე, ოთხი ზემოთხსენებული მოთხოვნის შესრულება საჭიროა. როგორც ნათქვამიდან ჩანს, დიქტატური-საგან გათავისუფლება საბოლოოდ ხალხის ძალისხმევით და მოკიდებული. მოყვანილი წარმატებული პოლიტიკური დაუმორჩილებლობის მაგალითები არჩვენებენ, რომ პოლიტიკური მიზნებისათვის არაძალადობრივი ბრძოლის შესაძლებლობა არსებობს, მაგრამ ეს გზა მხოლოდ დამუშავებული არ არის. ჩვენ ამას დანერვილებით შემიძლება თავი ვავიცილო, თუმცა თავდაპირველად უნდა განვიხილოთ დიქტატურის შერყევის ისეთი საშუალება, როგორც მოლაპარაკება.

დასასრული, დასაწყისი №47-49


პანიკას შეგნებულად თესავენ, თუ?!

ინფორმაცია სკოლებში ტერაქტების მოზადღების შესახებ უკრაინაში, სომხეთში, რუსეთში, საპარტიფალისა და ყაზახეთში უკვე რამდენიმე თვეა პანიკადღულად ვრცელდება. მსგავსი შინაარსის ინფორმაცია იანვარში გაგზავნილი უკრაინაში, 12 აპრილს – სომხეთში, გოლოს კი სკოლებში მოსალოდნელი სროლის შესახებ შეფარდებული 19 აპრილს ასტანაში გაგზავნილია. ასტანის პოლიციის დეპარტამენტში განმარტეს, რომ შეტყობინებებში ანონიმური ავტორი ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის გამოყენებით მასობრივი მკვლელობით იმუქრებოდა. ამასთან, ანონიმი წერდა, რომ თავდასხმაში მო-

ნაწილეობას 20 ადამიანი მიიღებდა, თავად კი ისტორიაში შევიდოდა.



„ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს. მოსახლეობას მოგვწოდებთ შეინარჩუნონ სიმშვიდე და მხოლოდ ოფიციალურ ინფორმაციას ენდონ“, – აღნიშნეს პოლიციაში. იანვარსა და თებერვალში სოციალური ქსელებით ანალოგიური შეტყობინება ტერაქტის მოზადღების შესახებ რუსეთის რამდენიმე რეგიონშიც ვავრცელდა. რეგიონების ადმინისტრაციებში აცხადებდნენ, რომ „ფეიკების“ მიზანი საზოგადოებაში პანიკის დათესვაა. ცოტა ხნის წინ სოციალურ ქსელებში ვავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, შეიქმნა რუსულენოვანი „ტელეგრამ“ არხი, სადაც თბილისის სკოლებში ტერაქტების თაობაზე შეტყობინებები ინფორმაცია ქვეყნდება. სუსის განცხადებით, ფაქტთან დაკავშირებით, პროტოკოლით გათვალისწინებული ღონისძიებები ტარდება. თუმცა, არსებული ინფორმაციით, ტელეგრამარხი, სადაც თბილისის სკოლებში ტერაქტების თაობაზე შეტყობინებები ინფორმაცია ვამოქვეყნდა, ამ დროისთვის უკვე გაუქმებულია.



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ღვანულადი მემორიალი, ჰიდროლოგი **ტენგიზ ცინცაძის**

ბარდაცვალების გამო სამიძიარს გამოთქვამს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო წინაშე სახელით, რეაქტორი დავით გურგენიძე მხუხარუას გამოთქვამს მემორიალ-ჰიდროლოგის, გეოგრაფის, სტუ-ის ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ტენგიზ ცინცაძის გარდაცვალების გამო და სამიძიარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს, მეგობრებსა და კოლეგებს.

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ეთხოვება ცნობილ მეცნიერს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დარგობრივი კომისიის ექსპერტს, პროფესორ ტენგიზ ცინცაძეს. ბატონი ტენგიზი წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა ქართულ მეცნიერებას, ისეთ რთულ და საჭირო მიმართულებებს, როგორცაა ჰიდროლოგია. მას დიდი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოში წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის პრობლემების, მდინარეთა აუზების ძირითადი ბუნებრივი რესურსების, ფუნქციებისა და ინტეგრირებული მართვის მექანიზმების შესწავლასა და გადაჭრაში. ტენგიზ ცინცაძე თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში მოღვაწეობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, იყო ღირსების მედლის და ღირსების ორდენის კავალერი. 2023 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წინაშე განკუთვნილი ვანსაკუთრებული დამსახურებისთვის დაჯილდოვდა „ოქროს მედლით“.

ტენგიზ ცინცაძე იყო მრავალი საერთაშორისო კონფერენციისა თუ სიმპოზიუმის მონაწილე. გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, 4 მონოგრაფია. მისი სამეცნიერო კვლევები ძირითადად ეძღვნებოდა საქართველოს ზედაპირული და მინისქვეშა წყლების მარაგის და მისი ცვლილების შეფასებას, კლიმატის გლობალურ დათბობაზე მზარდი ანთროპოგენური დატვირთვის გავლენას. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელით, მწუხარებას გამოვთქვამთ ტენგიზ ცინცაძის გარდაცვალების გამო და სამიძიარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს, მეგობრებს, სტუდენტებსა და კოლეგებს. უფალმა სავანესა მართლმართლად დაანესოს მისი უკვდავი სული“, – აღნიშნულია სტუ-ის რექტორის სამძიმრის წერილში.



მეუღლე მარეხი კუბატაძე, შვილები მაკა, მამუკა, გიორგი; შვილიშვილები რატი, მარიამ მაღალდაძეები, სოფია, ანასტასია, გაბრიელ, ზუკა, გუგა, ალექსანდრე, ნია გიორგობიანიები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზურა გიორგობიანი

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს მარიამ გელახურის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.


- აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:
1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: მარიამ გელახური (პ/ნ 01001025281), თბილისი, გლდანის 1 მ/რ, კორპუსი 6, ბინა №21
 უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: მცხეთა, სოფელი საგურამო (საკადასტრო კოდი: 72.06.01.004.064)
 უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდაამავალი სანივთო ვალდებულებებით.
 2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 5000 ლარი.
 3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2024 წლის 24 აპრილი, 14:00 საათი.
 4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2024 წლის 8 მაისი, 14:00 საათი.
 5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
 - 5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP98074024;
 აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 980740
 6. მოვალე: სამივე სოქვილ (პ/ნ 39867840), მცხეთა, საგურამოს აღმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 004, ნაკვეთი 034;
 შპს „მერკანი“ (ს/ნ 425366043), თბილისი, გლდანის 1 მ/რ, კორპუსი 6, ბინა №21;
 შპს „ლ&გ“ (ს/ნ 404383092), თბილისი, ჩუღურეთის რ-ნი, ე. ახვლედიანის ქ. №10;
 მარიამ გელახური (პ/ნ 01001025281), თბილისი, გლდანის 1 მ/რ, კორპუსი 6, ბინა №21;
 მანუჩარ ცხელიშვილი (პ/ნ 21001012578), თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქ. №118/42;
 სამად იარი (პ/ნ 01391047051), თბილისი, ფანჯიკიძის ქ. №22, ბლოკი „ა“, ბინა №59.
 7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
 8. აუქციონის პირობები:
 - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
 - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეიღებოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
 - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბუნებრივი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
 - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თბილისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
 9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP98074024; ლოტის ნომერი: 980740).
 ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 8 მაისის 12:00 საათამდე.

დავნილ მენარქიას ახალი ინვესტიური გეგმაცხადი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხელშეწყობით, „ხონის მონიტორინგის დახმარებით“ მთავრობის განცხადებით – „სამკერვალო სახლი“ და „სილაშხის სახლი“ აფხაზეთიდან დევნილი პირები არიან დასაქმებული. პროექტი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა და ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამკერვალო საქმიანობის ხელშეწყობასთან და „სილაშხის სახლის“ მოწყობასთან დაკავშირებული, დევნილთა მიზნის ინიციატივების მატერიალურ-ტექნიკურ მხარდაჭერას ითვალისწინებდა.

მსჯავრდებულებს მარნეულის მოწყობა

მსჯავრდადებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი პენიტენციურ დაწესებულებაში აგრონომიის მიმართული მიმართულებით პროექტის განხორციელებას აგრძელებს. ამჯერად, მე-15 პენიტენციურ დაწესებულებაში ღია გრუნტზე მარნეულის ბაღი მოწყობა დაიწყო. საზაფხულო სამუშაოები სხვა დაწესებულებებშიც დაიწყო. სასოფლო-სამეურნეო პროექტების ფარგლებში, მოსავლის რეალიზაცია რამდენიმე ობიექტში ხდება. პროექტის გაყიდვის შედეგად მიღებული თანხა მსჯავრდებულებს ხელფასის სახით დაერიცხება.



მათ. პროექტის მიზანი მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია, ახალი პროფესიული უნარების განვითარება და მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაა.

ახალი საბავშვო ბაღი ოკაპელ ბავშვებს

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული – პასპისა და გორის მაჟორიტარ დაუბნავთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, პასპის მონიტორინგის სოფელ ოკაპელში მოსახლეობას შეხვდა.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეკრებილებს პროექტები და გეგმები გააცნეს, რომელთა განხორციელებაც უახლოეს პერიოდში იგეგმება. ამჟამად, სოფელ ოკაპელში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს. პროექტს მუნიციპალური განვითარების ფონდი დახმარებს.



აბორციელებს და მისი ღირებულება 2 მილიონ ნახევარ ლარს შეადგენს. შენობა სრულიად თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი იქნება, მოეწყობა ეზო და განთავსდება ატრაქციონები. საბავშვო ბაღი 75 ბავშვზეა გათვლილი და მისი გახსნა შემოდგომაზე იგეგმება.

დაპითიანური კათილერიალური შიდა საუბნო გზები

ლაგოდუხის მონიტორინგის სოფელ დავითიანო შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია აპტიურ რეაბილიტაციის მიზნით დაიწყო. სამუშაოებს ლაგოდუხის მუნიციპალიტეტის მერი ადგილზე გაეცნო. სოფელ დავითიანის შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია, 1 850 კვ.მ. მონაკვეთზე მიმდინარეობს. პროექტი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება და მისი ღირებულება, მილიონ 373-ითაა 480 ლარს შეადგენს.

გვერდნობა სპორტის უნიკალური მუზეუმი

საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი ქართული სპორტის მუზეუმის დირექტორ ნინო ლომიძესთან ერთად დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ, ოლიმპიური აუზის სპორტული კომპლექსის ტერიტორიაზე, ქართული სპორტის მუზეუმის მონაცემების საფუძვალზე გაეცნა.

სამუშაოები სპორტის სამინისტროს მხარდაჭერითა და სსიპ ეროვნული მუზეუმის დაკვეთით 2023 წლის დეკემბერში დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს. მუზეუმის დასრულება 2024 წლის სექტემბრისთვის არის დაგეგმილი.

სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილებით 2022 წელს სპორტის მუზეუმს, რომელსაც საკუთარი შენობა არასოდეს ჰქონია, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი შპს „სპორტმენსერვისისგან“ დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ, ოლიმპიური აუზის ტერიტორიაზე, უსასყიდლოდ გადა-



ეცა 909 მ2 ფართობი, სადაც 2023 წელს ქართული სპორტის მუზეუმის მონაცემები დაიწყო. იგი მოიცავს საექსპოზიციო დარბაზს, საცავსა და

სამუშაო სივრცეს მუზეუმის თანამშრომლებისთვის. სპორტის მუზეუმი 2018 წელს შეუერთდა საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, რის შემ-

დეგაც მისი ექსპონატები ყუთებშია მოთავსებული და დამთავალიერგებელს ნახვის საშუალება არ აქვს. მანამდე სპორტის მუზეუმი სპორტის სამინისტროს ყოფილი შენობის შესასვლელში დაახლოებით 50 კვ.მ ფართობს იკავებდა. მნიშვნელოვანია, რომ სპორტის მუზეუმის თანამშრომლების დამსახურებით ექსპონატებს მზრუნველობა არ მოჰკლებია და სპორტის მუზეუმის მონაცემების შემდეგ ქართული სპორტის ბრწყინვალე გამარჯვებების ამსახველი ჯილდოებისა თუ სხვა ექსპონატების დათვალიერება სპორტის გულშემატკივრებსა და თავად სპორტმენებსაც შეეძლებათ.

2021 წლის 29 სექტემბერს სპორტის მუზეუმის დირექტორად ტყევის სროლაში ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი და არაერთი ტიტულისა და რეკორდის მფლობელი ნინო სალუქვაძე დაინიშნა.



იტალიური ინოვაციებისა და კვლევების დღე

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) ტექნოპარკში აღინიშნა იტალიური ინოვაციებისა და კვლევების დღე, რომელიც იტალიასა და საქართველოს შორის სამეცნიერო და ტექნოლოგიურ დარგებში თანამშრომლობის გაღრმავებას მიეძღვნა.

ღონისძიება, რომელსაც სხვადასხვა ინსტიტუციის, აკადემიური და სამხარაო წრეების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, იტალიის ელჩმა მასიმოლიანო დ'ანტუონომ და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარე ავთანდილ კასრაძემ გახსნეს.

CERN-ის წარმომადგენლის, ბოსტონის უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის, ტიციანო კამპორეზისა და Axel – Georgian Business Angel Network-ის დირექტორის, ირინა ცაგარეიშვილის პრეზენტაციების შემდეგ გაიმართა ორი ქართველი ინოვატორის დაჯილდოება, რომლებმაც სამეცნიერო-ტექნიკური კვლევების სფეროში ქართველი ინოვატორების გამოცდილების გამოდიარებისა და იტალიასა და საქართველოს შორის თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით გამართულ კონკურსში გაიმარჯვეს.

საქართველოს გერმანელი ღვინის პროფესიონალები ეწვივნენ

ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერითა და სააგენტოს კონტრაქტორი გერმანული მარკეტინგული კომპანიის „ff.k Public Relations“ ორგანიზებით, საქართველოს გერმანელი ღვინის პროფესიონალების 10-კაციანი ჯგუფი სტუმრობდა.

ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ სომელიერები, კომერციული სექტორის და მედიის წარმომადგენლები.

წლიური ტურის ფარგლებში, სტუმრები ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს ქართლსა და კახეთში ეწვივნენ, დააგემოვნეს

სხვადასხვა სტილის ქართული ღვინო. ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით, გერმანულ კომპანიასთან „ff.k Public Relations“ ღვინის ეროვნული სააგენტო თანამშრომლობა 2021 წლიდან დაიწყო. აქტიური პოპულარიზაციის კამპანია მიმდინარე წელსაც გრძელდება.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საქართველოდან გერმანიაში 300 ათასი ლიტრი ღვინოა ექსპორტირებული, ზრდამ გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 31% შეადგინა.



ოლიმპიური ქართული კერძებს მილიონობით ადამიანს გაასწოვს

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი შუა-მზარეული ჯიშის ოლიმპიური საქართველოშია. როგორც ჩვენთვის გახსნა ცნობილი, მსოფლიოში ყველაზე ცნობილი შუა-მზარეული გასტროტურისტების პოპულარიზაციაში ჩაერთო. ის საქართველოს



ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით

ჯიშის ოლიმპიური მაყურებლებსა და ინტერნეტ მომხმარებლებს ქართული კერძების რეცეპტებს გააცნობს. საქართველოს კულინარიული ტურიზმის შესახებ ვიდეო კლიპებს მთელ მსოფლიოში მილიონობით ადამიანი იხილავს.

გერმანიაში ზამთარმა კული მოიქნია

გერმანიის რეგიონების ნაწილში ძლიერმა თოვამ გზებზე ქალის გამოიწვია. მავარიასა და ჰესელში თოვლის საფარის სისქემ 10 სანტიმეტრს მიაღწია. იქიდან გამომდინარე, რომ მძღოლები უკვე ზაფხულის საბურავებზე არიან გადასულები, გზებზე არაერთი ინციდენტი დაფიქსირდა.



საქართველოს რესპუბლიკის
 ავტორიტეტული საგარეო ურთიერთობების მინისტრის განცხადება
 ავტორიტეტული საგარეო ურთიერთობების მინისტრის განცხადება
 ავტორიტეტული საგარეო ურთიერთობების მინისტრის განცხადება

აპრილი 24 აპრილისთვის
 ავტორიტეტული საგარეო ურთიერთობების მინისტრის განცხადება
 ავტორიტეტული საგარეო ურთიერთობების მინისტრის განცხადება
 ავტორიტეტული საგარეო ურთიერთობების მინისტრის განცხადება

დაგვირეკით, მოგვხილეთ:
 ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
 ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
 და sakresp@mail.ru
 ვებ-გვერდი: www.sakresp.ge

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
 ავტორიტეტული საგარეო ურთიერთობების მინისტრის განცხადება
 ავტორიტეტული საგარეო ურთიერთობების მინისტრის განცხადება
 ავტორიტეტული საგარეო ურთიერთობების მინისტრის განცხადება

გამომცემელი:
 შპს 100 – ახალი
 „საქართველოს რესპუბლიკა“
 გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 599 36-00-35
 ივანე ჯავახიშვილის სახელობის
 „კოლორი“
 ქ. პატიშვილის №3
კოლორი
 ჯგუფი
 uac(უაკ)070.4(479.22)
 ს-323

ავტორიტეტული საგარეო ურთიერთობების მინისტრის განცხადება
 ავტორიტეტული საგარეო ურთიერთობების მინისტრის განცხადება
 ავტორიტეტული საგარეო ურთიერთობების მინისტრის განცხადება

გაზეთის მომწოდებელი
 ნომერი
 გამომცემელი
 პარასკევს,
 26 აპრილს